

მელვინე 010459
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

მელვინე აგრარული მეცნიერებების მიმართულების აგრონომიის დარგის პროფესიული კვალიფიკაციაა. მელვინეობა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ერთ-ერთი რენტაბელური დარგია. იგი მოიცავს წარმოებისა და მოხმარების სხვადასხვა სფეროებს, რომელთაგან აღსანიშნავია ყურძნის დაკრეფა, მისი გადამუშავება, ღვინომასალების დამზადება, საჭიროების შემთხვევაში მათი დამწიფება-დავარგება, საჭირო ტექნოლოგიური პროცესების ჩატარება, ბოთლებში ჩამოსხმა და რეალიზაცია.

მელვინის პროფესია არის მომსახურეობაზე ორიენტირებული პროფესია და ითვალისწინებს მომხმარებლისათვის მაღალი ხარისხის მელვინეობის პროდუქტების მიწოდებას.

II. დასაქმების სფერო

მცირე, საშუალო და მსხვილი ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი საწარმოები, ფერმერული მეურნეობები.

III. დამატებითი მოთხოვნები

- მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

მეღვინის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი (III, IV და V). თითოეული საფეხურის პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, რაც დასტურდება პროფესიული დიპლომით.

მეღვინის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. მინიმუმ 50% ეთმობა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მეღვინის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მეღვინის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 20 კრედიტს. მინიმუმ 50% ეთმობა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მეღვინის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მეღვინის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს მინიმუმ 25 კრედიტს. მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება მეღვინის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მეღვინის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს,</p>	<p>იცის და გაცნობიერებული აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სხვადასხვა ტექნოლოგიური ოპერაციებისთვის დამახასიათებელი პრინციპები, როგორცაა: ქარხანაში მოზიდული ყურძნის ინსპექცია, ყურძნის გადამუშავება, ღვინომასალების დაწდომა, ლექიდან მოხსნა, საფუარის წმინდა კულტურის მიცემა, ფილტრაცია, გაწებვა, ჩამოსხმა და სხვა. • ბიზნესის წარმოებისა და მენეჯმენტის ზოგადი პრინციპები; ეკონომიკის საფუძვლები; სამართლის საფუძვლები; პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა; საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები. • გაცნობიერებული აქვს ტექნოლოგიური ოპერაციებისას მიმდინარე ქიმიური პროცესების არსი. • ფლობს შესაბამის ცოდნას მზა პროდუქციის ძირითად
-------------------------------------	---	---

		<p>ხარისხობრივ მაჩვენებლებზე და მათი შემოწმების მეთოდებზე.</p> <ul style="list-style-type: none"> • აცნობიერებს მზა ნაწარმის ზადს და ნაკლოვანებებს და ღებულობს სათანადო ზომებს მათ გამოსასწორებლად და თავიდან ასაცილებლად.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • წარმოების სპეციალისტის უშუალო ხელმძღვანელობით მიიღოს და დააბინაოს სხვადასხვა ნედლეული, • უზრუნველყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, • უსაფრთხოდ და დანიშნულებისამებრ გამოიყენოს მანქანა-აპარატები და სხვა სამუშაო ინსტრუმენტები. • პირველადი აღრიცხვიანობის დოკუმენტაციის წარმოება, სასაწყობე მარაგების და მატერიალური ბაზის ინვენტარიზაციის ჩატარება, • მოამზადოს სხვადასხვა დამხმარე საშუალებები ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფილად ჩატარების მიზნით. • მარტივი ხარჯთაღრიცხვის წარმოება. • მათემატიკური გაანგარიშების გაკეთება, სამუშაოს დაგეგმვა და ორგანიზება.
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექნოლოგიის მითითების და შენიშვნების, კოლეგების მოსაზრებების და რჩევის მიღება, გათვალისწინება და სათანადო დასკვნის გამოტანა საინტერესო ინოვაციასთან დაკავშირებით. • აქვს პრობლემის შეფასების, ანალიზის და გადაჭრის უნარი. • სამოქმედო გეგმაზე წარმოქმნილი წყბისმიერი პრობლემის დამოუკიდებლად გადაწყვეტა, • შეუძლია კრიტიკულ სიტუაციაში, კომპეტენციის ფარგლებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღება. • იმოქმედოს ეფექტურად და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება.აუნდა შეეძლოს როგორც გუნდური,

		ასევე დამოუკიდებელი მუშაობა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ქართულ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; პროფესიასთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციის გაგება და გააზრება. ექსპერტების რჩევებისა და სფეროს სიახლეების შესახებ ინფორმაციის მოძიება. <p>ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; ფლობს უცხოურ ენას, რაც საშუალებას აძლევს დაამყაროს ელემენტარული კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებით.</p>
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> პროფესიის შესასწავლად გათვალისწინებული პროგრამის ათვისება და ნასწავლი მასალის გადმოცემა; ისწავლოს მითითებული ლიტერატურის მიხედვით და სხვისი ხელმძღვანელობითა და შეფასებაზე დაყრნობით განსაზღვროს შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელება. აქვს უნარი სხვისი ხელმძღვანელობით ათვისოს და გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს ყველა ის ტექნოლოგიური ოპერაცია, რაც საჭიროა ხარისხობრივი ალკოჰოლური სასმელების დასამზადებლად.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად	იცნობს ალკოჰოლური სასმელების დამზადების სფეროს, მის ძირითად პრინციპებს. ადექვატურად, თანამიმდევრულად და მაღალი პასუხისმგებლობით მოქმედებს სხვადსხვა ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულების დროს. უზრუნველყოფს გარემოს დაცვას

მეღვინის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს	აქვს მეღვინეობის პროდუქტების წარმოების სფეროსათვის დამახასიათებელი პროცესების, პრინციპების და კონცეფციის ცოდნა. იცნობს ყურძნის ჯიშებს და იცის მათი ქიმიური შედგენილობა და იცნობს ანალიზის მეთოდებს. იცნობს
------------------------------	--	--

		<p>წარმოებაში გამოყენებულ საფუარის წმინდა კულტურების, გამწვავი ნივთიერებების და სხვა დამხმარე მასალებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. შეუძლია პირითადი და დამხმარე ნედლეულის მომზადება წარმოებისათვის.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით</p>	<p>შეუძლია, ყურძნის სხვადასხვა ჯიშებიდან გამომდინარე, ქიმიური შდგენილობის განსაზღვრა და ანალიზი. თანამედროვე ინსტრუმენტალური მეთოდების გამოყენებით ამოწმებს მომზადებული ნედლეულის ხარისხს. აწარმოებს პროდუქციის აღრიცხვიანობას, ახდენს საწარმოში არსებული პროდუქციის ხარისხს, საწყობში არსებული მასალების რაოდენობის კონტროლს. შეუძლია საწარმოო პროცესებზე ზედამხედველობა. მონაწილეობს პერსონალის თრეინინგში, შეუძლია ოფიციალური დოკუმენტების წარმოება; ტექნიკური და ტექნოლოგიური დოკუმენტაციის გაფორმება; საჭიროების შემთხვევაში სამუშაო დღის, თვის ან წლის გეგმის და ანგარიშის დამოუკიდებლად შედგენა;</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი</p>	<p>შეუძლია ტექნოლოგიის მითითების და შენიშვნების, კოლეგების მოსაზრებების და რჩევის მიღება, გათვალისწინება და სათანადო დასკვნის გამოტანა საინტერესო ინოვაციასთან დაკავშირებით. აქვს პრობლემის შეფასების, ანალიზის და გადაჭრის უნარი. შეუძლია სამოქმედო გეგმაზე წარმოქმნილი ნებისმიერი პრობლემის დამოუკიდებლად გადაწყვეტა, იმოქმედოს ეფექტურად და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. ანდა შეეძლოს როგორც გუნდური, ასევე დამოუკიდებელი მუშაობა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული ინფორმაციის დამუშავება</p>	<p>შეუძლია სპეციალურ ლიტერატურაში, მეთოდურ მითითებებსა და სახელმძღვანელოებში, პროფესიულ ჟურნალ-გაზეთებში ან ინტერნეტში დარგში არსებული სიახლეების, მეღვინეობაში გამოყენებული ტექნოლოგიების, ქვეყნის და საერთაშორისო ბაზარზე ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კითხვა; საჭირო ხელსაწყოებისა და მანქანა-აპარატების ინსტრუქციებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის, წარწერებისა და მითითებების გაცნობა და გაგება; ცხრილებისა და მარტივი ნახაზების გაგება. შეუძლია ზეპირი კომუნიკაცია მომმარაგებლებთან, დამქირავებლებთან და დაქირავებულ მუშაკებთან</p>

		ინფორმაციის გაცვლის, ტექნიკური ან სხვა საჭირობოროტო საკითხებისა და პრობლემების მოგვარების მიზნით; თანამშრომელთა შეხვედრებში მონაწილეობა, მოსაზრებების გაზიარება და მითითებების მიღება. საბაზო დონეზე შეუძლია უცხოურ ენაზე კომუნიკაცია. შეუძლია ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება კომპიუტერული კომპეტენციების სისტემის ფარგლებში.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტა, თუმცა ნაწილობრივ, ცვალებად ვითარებაში	შეუძლია კურიკულუმით განსაზღვრული პროგრამის თეორიული და ნაწილობრივ პრაქტიკული ნაწილის ათვისება და შესწავლა, ნასწავლი მასალის გადმოცემა. შეუძლია ლიტერატურის და სხვადასხვა წყაროების მოძიება, დამუშავება და ანალიზი, საკუთარი სწავლის დაგეგმვა. სწავლის შედეგად საფეხურზე გაგრძელების უზრუნველყოფა.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად	კარგად იცნობს მეღვინეობის პროდუქტების წარმოების სფეროს, მეღვინეობის პროდუქტებისადმი მომხმარებელთა მიერ წაყენებულ მოთხოვნებს ხარისხობრივი მაჩვენებლების თვალსაზრისით და მათი უვნებლობის უზრუნველსაყოფად. გაცნობიერებული აქვს ამ მხრივ პირადი პასუხისმგებლობა. საკუთარი და სხვისი ფუნქციების და მოვალეობების გაცნობიერება, სხვისი დახმარება, საქმისადმი პატიოსანი და ეთიკური მიდგომა. კრიტიკულ სიტუაციებში არ კარგავს მობილიზაციის უნარს.

მეღვინის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს)	იცის და გაცნობიერებული აქვს ტექნოლოგიური ოპერაციებისას მიმდინარე ქიმიური პროცესების არსი, როგორცაა: ღვინომასალების დაწდომა, ლექიდან მოხსნა, საფუარის წმინდა კულტურის მიცემა, ფილტრაცია, გაწებვა, ჩამოსხმა და სხვა. ფლობს შესაბამის ცოდნას მზა პროდუქციის ძირითად ხარისხობრივ მაჩვენებლებზე და მათი შემოწმების მეთოდებზე. აცნობიერებს მზა ნაწარმის ზადს და
------------------------------	---	---

		<p>ნაკლოვანებებს და ღებულობს სათანადო ზომებს მათ გამოსასწორებლად და თავიდან ასაცილებლად.</p> <p>იცის: ბიზნესის წარმოებისა და მენეჯმენტის ზოგადი პრინციპები; ეკონომიკის საფუძვლები; სამართლის საფუძვლები; პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა; კადრების სწავლების, მომზადების, შერჩევისა და შეფასების პრინციპები; საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები.</p>
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად</p>	<p>შეუძლია მრავალფეროვან გარემოში საამქროს მართვა; საამქროს საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზება და რესურსების განაწილება; საამქროს პერსონალის მართვა; ტექნოლოგიური საქმიანობის კოორდინირება; წარმოებული პროდუქციის ხარისხის სტანდარტის დაცვა; საამქროს საქმიანობის ზოგადი გეგმის შემუშავება; საამქროში სანიტარული და უსაფრთხოების დადგენილი ნორმების დაცვის კონტროლი; საამქროს ტექნოლოგიური დანადგარებისა და მოწყობილობების მდგომარეობისა და მოვლის კონტროლი; წარმოებული პროდუქციის ხარისხის შემოწმება; გამოშვებული პროდუქციის აღრიცხვა; უხარისხო პროდუქციის აღრიცხვა და დოკუმენტაციის შედგენა. შეუძლია ქარხანაში მოზიდული ყურძნის ინსპექცია, ხელმძღვანელობს ყურძნის გადამუშავებას და ანხორციელებს სხვადასხვა ტექნოლოგიურ ოპერაციებს,</p>
დასკვნის უნარი	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება</p>	<p>აქვს ანალიზის უნარი; საკუთარი და სხვისი საქმიანობის კრიტიკული შეფასების უნარი; შეუძლია კოლეგების მოსაზრებების და რჩევის მიღება, გათვალისწინება და სათანადო დასკვნების გამოტანა ამა თუ იმ პროგრამასთან ან საინტერესო ინოვაციასთან დაკავშირებით.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხო ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და</p>	<p>აქვს კარგი საკომუნიკაციო უნარები, შეუძლია ქართულ და უცხოურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, აქვს კარგი, გამართული მეტყველება, შეუძლია თრენინგების ჩატარება, ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია დიალოგის წარმართვა, უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება და ანგარიშის წარდგენა</p>

	ანგარიშის წარდგენა	
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში	აქვს გამოხატული ინტერესი სწავლისა და თვითგანვითარების მიმართ, შეუძლია სხვების სწავლება, კურიკულუმით განსაზღვრული პროგრამის თეორიული და პრაქტიკული ნაჭლის ათვისება, საკუთარი სწავლის დაგეგმვა, სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების უზრუნველყოფა.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს	სრულყოფილად და საფუძვლიანად იცნობს მეღვინეობის სფეროს, წარმოების ძირითად პრინციპებს, აქვს მკვეთრად გამოხატული ლიდერის თვისებები, გამოირჩევა პროფესიისადმი სიყვარულით, გაცნობიერებული აქვს საკუთარი მოვალეობები, ფუნქციები და პასუხისმგებლობა, ახასიათებს ორგანიზებულობა, დისციპლინა, პუნქტუალობა და მოწესრიგებულობა, მოვალეობების გაცნობიერება, თანამშრომლობა და კეთილგანწყობა კოლეგებთან, სხვისი დახმარება, საქმისადმი პატიოსანი და ეთიკური მიდგომა.